პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
27 ივნისი
№ 148 (17791)
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუმჯობესო გამოცდილება

დამკვრელური შრომით შევხვდეთ პარტიის ყრილობას!

დიდი ნაყოფიერება

— **უდიდესი** ინტერესითა და კმაყოფილებით გავეცანით ჩვენ, მუშები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებს, — თქვა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე გამოსვლისას მოწინავე ზეინკალმა ლ. კოსტინმა, — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებულია ჩვენი მოქმედების მკაფიო და ზუსტი პროგრამა როგორც მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის, ისე მომავალი ხუთწლედისათვის. ჩემი ხუთწლიანი დავალება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის გავანაღდე. ხუთწლედის საგეგმო დავალებანი უკვე წარმატებით შეასრულა ჩვენი საწარმოს ათასზე მეტმა მუშამ. პირადად მე მომავალი წლის ანგარიშში ვმუშაობ და ვალდებულებას ვკისრულობ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გახსნისათვის შევასრულო მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალება.

ქარხანაში მიტინგი გახსნა პარტკომის მდივანმა ვ. ლომაძემ. მიტინგზე გამოსულმა ამწყობმა მემოქლონემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თ. ბარიგინმა, საამქროს უფროსმა დ. ჟღერიამ, ბრიგადირებმა გ. ჩახტაურმა, დ. ლომსაძემ, გ. ქიტიაშვილმა და სხვებმა თავიანთი შრომითი კოლექტივების სახელით გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს პარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავად, მთლიანად და სავსებით მოიწონეს საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პირობა დადეს დამკვრელური შრომით ამრავლონ სოციალისტური სამშობლოს სიმდიდრე და ძლიერება.

ავიამშენებელთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა პარტიის ყრილობის გახსნისათვის მიაღწიოს შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას, ხოლო ყრილობის გახსნის დღეს დაზოგილი ელექტროენერგიით იმუშაოს. (საქინფორმი).

მაღაროელთა სიტყვა

როდესაც პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება პარტიის მორიგი, XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ, ჩვენს მაღაროში ნამდვილი შრომის ზეიმი იყო — მანგანუმის მადნის ამოღების დღიური გეგმა 106 პროცენტით შეგასრულეთ....

ჩვენი ორდენოსანი ქალაქის, ისევე როგორც მთელი რესპუბლიკის, „მშრომელები აქტიურად შეუდგნენ სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სამზადისს. ამ დღეებში სამთო საწარმოში მოგანყვეთ ღია პარტიული კრება, რომელზეც განვიხილეთ და მოვიწონეთ მეზობელი, დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივის ინიციატივა „სკკპ XXVI ყრილობამდე დარჩენილი ყოველი დღე — დამკვრელურად!“

ამ კრებაზე კარგი საწარმოო მაჩვენებლებით მოვიდნენ ჩვენი მაღაროს მშრომელები, რომლებისთვისაც ყრილობის სამზადისი, მართლაც რომ, პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის აღმავლობის მძლავრი ბერკეტი გახლავთ. სწორედ ამისი შედეგია, რომ ჩვენმა კოლექტივმა ხუთი თვის გეგმის გადაჭარბებით ამოიღო 5500 ტონა მანგანუმი, დაზოგა 600 კუბური მეტრი ხე-ტყე.

მაგრამ ყველაზე კარგი შედეგი უთუოდ მაინც ის არის, რომ ავამაღლეთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი. ამაში ძალიან დაგვეხმარა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვა. მაღაროს მეორე და მეექვსე საწარმოო უბნებში ავამოქმედეთ მტვირთავ-გადმომტვირთავი მექანიზმები. მეორედ გამომუშავებულ ველში მთელი დატვირთვით მუშაობს სამთო კომბაინი... ამ სიახლეების წყალობით გავზარდეთ შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი. მაგრამ ამ წარმატებათა თავიდათავი, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, ჩვენი მოწინავე მუშაკები ს. ტაბატაძე, ჯ. ყვავაძე, მ. ჭუმბაურიძე, ზ. წერეთელი და სხვები არიან, რომლებიც ახლა 1981 წლის ანგარიშში შრომობენ.

დიმიტროველ მაღაროელთა ინიციატივის პასუხად ზემოაღნიშნულ ღია პარტიულ კრებაზე ვალდებულება ვიკისრეთ, რომ ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით ქვეყანას მივცეთ 167.700 მანეთის პროდუქცია, ხოლო 1981 წლის I კვარტალის გეგმები სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის შევასრულოთ.

ვ. სამხარაძე,

ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის სტალინის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციის მდივანი.

ჩვენი ხმა

ჩემი ასაკის ადამიანიც კი არ შეიძლება გულგრილი დარჩეს იმ უდიდესი მოვლენებისადმი, რომლებიც ახლა ჩვენს ქვეყანაში ხდება. ჰენსიონერობა როდი მიშლის ხელს, რომ ჩემი ხმა, ძალა და ენერგია შევუერთო საბჭოთა ადამიანების იმ დიდ აღფრთოვანებასა და შრომითს შემართებას, პარტიის XXVI ყრილობის მოწვევით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ისტორიული სიტყვით რომ არის გამოწვეული.

აბა წარმოიდგინეთ, რა გრანდიოზული წინსვლა — ტექნიკური პროგრესი, სახალხო მეურნეობის კიდევ უფრო განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება მოუყვება პარტიის XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმას. ერთი სიტყვით ჩვენ, შრომის ვეტერანები გახარებული ვართ ამ მოვლენებით და გვინდა ჩვენი გამოცდილება, ძალა და ენერგია ჩავაქსოვთ ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის დიდ მუშაობაში, სწორედ ახლა ამ ისტორიული ამბების შუაგულში გვინდა ვიყოთ, და ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ, რათა საკუთარი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა სახელმწიფოს, ხალხის სიძლიერის, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის საქმეში.

ნ. ნაცვლიშვილი,

შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

შრომითს ვახტაზე

ძალაძ ფოთის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან საყრილობო შეჯიბრებაში მიმდინარე წლის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის, შეასრულეს პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა-ვალდებულება. ამ დიდ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჰიდრომექანიზმების ქარხნის, მანქანათსაშენებელი, ელექტრომექანიკური, გემთშემკეთებელი ქარხნების, წისქვილკომბინატის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ეროვნული კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას — სასახელო შრომითი წარმატებები! — ასეთია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით შთაგონებული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ერთსულოვანი გულისთქმა.

ყურადღება სათოხნ კულტურებს!

28-29 ივნისს სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების ნათესების **რესპუბლიკური დათვალიერება.** წელს ამ ტრადიციულ დათვალიერებას, რომელიც სათოხნი კულტურების მოვლა-მოყვანისათვის სოფლის მშრომელთა მუშაობის პირველ შედეგებს აჯამებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ცნობილია, წლევანდელი გაზაფხულის ამინდი უაღრესად ცუდი გამოდგა მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის და მიწათმოქმედი ხელი შეუშალა აგროვადებში დაემთავრებინათ სიმინდის, სოიის, ლობიოს, სხვა პარკოსანი კულტურების, საგვიანო კარტოფილის, ზოგიერთი ბოსტნეულის თესვა და რგვა. ამას ისიც დაემატა, რომ მთელ რიგ რაიონებში სათოხნი კულტურების ნათესები და ნარგავები სერიოზულად დააზიანა სეტყვამ, თქეშმა და წყალდიდობამ.

ამ პირობებში რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქსახსოფტექნიკას, სასოფლო-სამეურნეო პროფილის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს მართებთ ოპერატიულად გადაწყვიტონ ყველა ის საკითხი, რომლებიც დაკავშირებული დაზიანებულ ფართობებზე შეთესვასა და გადათესვასთან, დამატებითი დოზის მინერალური სასუქის შეტანასთან, სათოხნი კულტურების სარეველებისა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლასთან.

ადგილებზე კვალიფიციური დახმარების გასაწევად და დათვალიერების ორგანიზებული მოწყობის უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რაიონებში მიავლინა სამუშაო კომისიები, რომლებშიც შედიან სპეციალისტები, მეცნიერები.

დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტები, რაიკომები, აფხაზეთისა და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა აღმასკომები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ ადგილებზე შეიქმნას და აქტიურად მუშაობდნენ სათოხნი კულტურების ნათესების რესპუბლიკური დათვალიერების მომზადებამოწყობის შტაბები, ჩაბან პარტიულ-სამეურნეო აქტივი მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობისა და ხარისხისადმი კონტროლის განხორციელების საქმეში, კრონციპულად იმსჯელონ დათვალიერების შედეგებზე და მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებანი.

(საქინფორმი).

ახალი ჰორიზონტები

1981 წელი, როდესაც გაიმართება სკკპ მორიგი XXVI ყრილობა, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი იქნება! ყოველი ჩვენგანი მოვალეა თვალი გადაავლოს განვლილს და ახალი ენერგიით, ძველებური მტკიცე რწმენით განაგრძოს შრომა თავის დარგში.

ყოველ შრომელ ადამიანს აქვს სათავისო გეგმა, მათ შორის შემოქმედაც. შემოქმედი უნდა ეცადოს ღრმად ჩასწვდეს თანამედროვეობის საკვანძო საკითხებს, გამოხატოს მისი ღირსეული თანამედროვის მისწრაფებანი, თავისებურად და ღრმად გააანალიზოს ცხოვრებისეული ამბები, თამამად მიეგებოს ახალ ჰორიზონტებს და განჭვრიტოს მომავალი.

ყოველი ჩვენგანისათვის თავიდათავია მშვიდობისმოყვარეობა, რომლისთვისაც ესოდენ იღვწის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საბჭოთა ხალხი მტკიცედ იცავს მშვიდობიანობის პრინციპს და, როგორც ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, კვლავაც ყველაფერს ვიღონებთ, რათა შევინარჩუნოთ დაძაბულობის შენელება, ყოველივე ის სასიკეთო, რაც კი სამოცდაათიანმა წლებმა მოგვცა. განა საშვილიშვილო საქმე არ არის, რომ მივაღწიოთ განიარაღების შემობრუნებას, მხარში ვედგეთ თავისუფლებისა და განვითარებისათვის მებრძოლ ხალხებს, დავიცვათ და დავამკვიდროთ მშვიდობა!

მწერალი — სიტყვით, მხატვარი — ფუნჯითა და საჭრეთლით, მუსიკოსი — მუსიკით, თეატრი — სასცენო ხელოვნებით იბრძვის ამ საოცნებო, მაგრამ გარდაუვალი საყოველთაო მშვიდობის მიღწევისათვის, ჩვენ გვეამაყება, რომ იმ ქვეყნის შვილები ვართ, რომელიც განუხრელად იცავს მშვიდობის საქმეს, რადგან მშვიდობა მართლაცდა კაცობრიობის სხნორუპოვარი საუნჯეა!

ნ. ჯანგბერიძე,

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.



ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები წლეულს სეზონში სახელმწიფოს მიჰყიდიან 2.800 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. მწვანე სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგანან ნიაზ ჯაფარიძის პირველი ბრიგადის მეჩაიეები. ამ ბრიგადაში ძირითადად ახალგაზრდა მკრეფავები შრომობენ. საუკეთესოთა შორის ასახელებენ ნანული შარაძეს, ნანული დიასამიძეს, ნაზიკო ჯაბნიძეს, მერიემ სურმანიძესა და სხვებს. მათ ვალდებულება იკისრეს თავ-თავიანთ ნაკვეთებზე მოკრიფონ 5-5 ტონა ფოთოლი — წლიური დავალებაზე ბევრად მეტი.

შრომისმოყვარეობისა და თავდადებისათვის, მუშაობაში სისწრაფისათვის ახალგაზრდა მეჩაიეებს ახალშენელ „ჩჭაროსნებს“ უწოდებენ. „ჩჭაროსანთა“ რიტხვი განსაკუთრებით გაიზარდა ამ დღეებში, როცა ფართოდ გაჩაღდა მზადება სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად.

● ●

სურათზე: სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის მოწინავე მკრეფავი, კომკავშირელი ნანული დიასამიძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს მოსკოვის ოლიმპიური ნაგებობანი

25 ივნისს ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. ჰ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, გ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი ეწვივნენ მოსკოვის ახალ სპორტულ ნაგებობებს, სადაც გაიმართება XXII ოლიმპიადის ასპარეზობანი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა მშვიდობის ბრწყინვალე პროექტზე დათვალიერეს ევროპაში უდიდესი სპორტული კომპლექსის „ოლიმპიურის“ დახურული სტადიონი და აუზი. ასპარეზობის დროს სტადიონზე გაიმართება შეჯიბრება კრივსა და კალათბურთში, ხოლო აუზში — ცურვაში, წყალტომასა და წყალბურთში.

კომპლექსის მშენებლები გულითადად მიესალმნენ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, გადასცეს თაიგულები.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა დაათვალიერეს ოლიმპიური სოფელი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ასპარეზობის მონაწილეთა წვრთნისა და დასვენებისათვის, მათ ნახეს ოთახები, სადაც იცხოვრებენ სპორტსმენები და მწვრთნელები, საზოგადოებრივი კვების ცენტრი, სპორტული კომპლექსი. ოლიმპიადის შემდეგ დედაქალაქის საბჭოთა-დასავლეთ მდებარე ამ ახალ მიკრორაიონში ახალმოსახლეობის იზეიმებს ათასობით მოსკოველი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხელი მოაწერა ოლიმპიური სოფლის საპატიო სტუმართა წიგნში.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს გადასცეს სამახსოვრო სუვენირი — მშენებლის ჩაჩქანიანი ოლიმპიური დათუნია, რომელიც დულეკის ფაფუნის ჭაობის ოსტატებმა დაამზადეს.

პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები გაეცნენ აგრეთვე კრილატსკოეს ახალ სპორტულ ცენტრს. მათ დაათვალიერეს სანიჩბოსნო არხი, დახურული ველოტრეკი, მშვილდოსანთა სტადიონი, მეგზატკეციილე ველოსიპედისტების ტრასა. სპორტული ცენტრის მშენებლობის მონაწილეებმა ლეონიდ ილიას ძეს აჩუქეს ოლიმპიური მშენებლის ჩაჩქანი. ამხანაგმა ბრეჟნევმა ხელი მოაწერა საპატიო სტუმრების წიგნში.

სურათზე: ოლიმპიური სოფლის დათვალიერების დროს. საკადრ-საქინფორმის ფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შემოღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ 1981 წლის 1 იანვრიდან.

2. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ ეფარდება ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა კანონის სამოქმედო შემოღების შემდეგ, ანუ 1981 წლის 1 იანვრიდან.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე წარმოშობილ მართლურთიერთობაში ამ მართლურთიერთობის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება 1981 წლის 1 იანვრიდან რეგულირდება აღნიშნული კანონის შესაბამისად.

3. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-18 მუხლში აღნიშნული მავნე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, რომლისთვისაც არ არის დაწესებული შესაბამისი ნორმატივები, შეიძლება დროებით დაშვებულ იქნეს კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგაც, სანამ დადგენილი წესით მიიღებოდეს ნებართვა ამ ზემოქმედებაზე, თუ მას არ აკრძალავენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანები.

4. დაწესდეს, რომ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის პირობების გამო მიღებული დასკვნები, რომლებიც გაცემულია „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე, ძალამოსილია ამ დასკვნების გაცემისას დაფიქსირი ვადის განვლამდე, თუ დადგენილი წესით არ არის განსაზღვრული კანონის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნებართვების მიღების უფრო ადრეული ვადა, ან თუ არ წარმოიშვა გაფრქვევის შეზღუდვის, შეჩერების ან აკრძალვის საფუძვლები.

5. საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევასთან, და რომლებიც არ იქნებიან აღჭურვილნი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების დროისათვის ამ კანონის მე-13 მუხლის მეოთხე ნაწილში აღნიშნული ნაგებობებით, მოწყობილობითა და აპარატურით, აგრეთვე გასაფრქვევ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა რაოდენობისა და შედგენილობისადმი კონტროლის საშუალებებით, — ამ ნაგებობებით, მოწყობილობით, აპარატურითა და საშუალებებით აღჭურვებიან ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

6. დაწესდეს, რომ რაიონებში, სადაც „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების დროისათვის ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციათა ნორმატივებს, გაჭუჭყიანების სტაციონარული წყაროების მქონე საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ და შეუთანხმონ ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოებს გაფრქვევის შემცირების გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების ნორმატივების დაცვას. აღნიშნული გეგმების რეალიზაციის პერიოდისათვის სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ დაადგინონ დროებით შეთანხმებული გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის სიდიდე.

7. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეუსაბამოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის კანონს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“.

9. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წ. 25 ივნისი.

ბავშვებისათვის ზრუნვა მომავლისათვის ზრუნვაა

ერთი წლის წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ განიხილა საკითხი 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შესაბამისად სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ.

იმ დიდი და დაძაბული პროგრამის შესრულების მიმდინარეობას, რომელიც რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლის უმაღლესმა ორგანომ დასახა, თვალსაჩინოდ მოწმობს სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისა და საბავშვო სახლების დათვალიერება, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა საქართველოში. ამ დათვალიერების შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა დათვალიერების ორგანიზაციისა და მოწყობისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე.

— თვით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და მათი ქსელის გაფართოების საკითხის განხილვის ფაქტი, ისევე როგორც რესპუბლიკური დათვალიერების მოწყობა, დამაჯერებლად მოწმობს ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დაუღალავ ზრუნვას ბავშვებისათვის, მოზარდი თაობის აღზრდისათვის. ეს მზრუნველობა, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკად არის გამოცხადებული, უკანასკნელ ხანს სულ უფრო რეალურ შედეგებს გვაძლევს საქართველოში. 1979 წელს რესპუბლიკაში შესრულდა სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა.

ამასთანავე, დათვალიერებამ ცხადყო, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ჯერ კიდევ არ არის საკმარისი სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელი, საშუალო საკავშიროსთან შედარებით დაბალია მისი შესაბამისი მაჩვენებელი. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა თაოსნობა. აქ შედგენილია მეურნეობათა სახსრებით სკოლამდელი დაწესებულებების საინიციატივო მშენებლობის ორი წლის გეგმა, რომლის მიხედვითაც 1980 წლის დამლევამდე დამატებით ჩადგება მწყობრში 2000-ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღები. ზუგდიდელთა თაოსნობა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელ დაწესებულებებზე რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების პრობლემის გადაჭრას, სულ უფრო ფართოდ ვრცელდება რესპუბლიკაში. მას ერთ-ერთმა პირველებმა დაუჭირეს მხარი ქობულეთის, გურჯაანის, ცხაკაიას, მახარაძისა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

შეფმა ორგანიზაციებმა — სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და მეურნეობებმა საგრძნობლად გააქტიურეს მუშაობა სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, სასურსათო პროდუქტებით მათი მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

სკოლამდელი ბავშვებისათვის ზრუნვის მაგალითია გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობისა და უწინარეს ყოვლისა, დირექტორის ვ. სუხიშვილის საქმიანობა. მეურნეობამ თავისი სახსრებით ორი საბავშვო ბაგა-ბაღი ააშენა სოფლებში ძევერასა და სატევში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ბავშვთა აღზრდის სწორი ორგანიზაციისათვის. პატარების განკარგულებაშია ვრცელი სათამაშო და საძინებელი ოთახები, კეთილმოწყობილი ეზოები, საბჭოთა მეურნეობა კარაქით, ბოსტნეულით, ხილით, თაფლით, სხვა პროდუქტებით ამარაგებს ორივე დაწესებულებას.

დათვალიერებამ ცხადყო, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში.

რესპუბლიკის სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ ყველგან როდი ეკიდებიან სათანადო ყურადღებით და პასუხისმგებლობით სახალხო განთლების ამ დიდმნიშვნელოვან რგოლს.

გადაუჭრელი პრობლემებია აგრეთვე ბავშვთა საზაფხულო დასვენების, მათი სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით სოფლად, ხარვეზებია აღმზრდელთა კადრების მომზადების საქმეში. დათვალიერებამ გამოავლინა ყველა ეს ნაკლი და დასახა მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზები, სასიკეთო გავლენა მოახდინა სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისა და საბავშვო სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაზე, ამ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფაზე. აი, რატომ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ ამ ეტაპზედან სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ასეთი დათვალიერებები ჩვენს რესპუბლიკაში ტრადიციად დავამკვიდროთ.

გამარჯობა, შრომითო სემესტრო!

გამარჯვების 35-ე წლისთავის სახელობის სტუდენტთა სრულიად საკავშირო სამშენებლო რაზმის მებრძოლთა ფორმა საქართველოში პირველებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩაიცვეს. 26 ივნისს 800 სტუდენტისაგან შემდგარი უნივერსიტეტის ნაკრები რაზმი გაემგზავრა არაშამფრანადაგინი ზონის მშენებლობებმა.

... საქართველოს დედაქალაქის ბორჯომის ვაგზალი. აქ დილიდანვე დაიწყეს თავმოყრა სტუდენტთა სამშენებლო რაზმების ფორმებში გამოწყობილმა ახალგაზრდებმა. სტუდენტებთან ერთად არიან მათი მეგობრები, მშობლები, უფროსი ამხანაგები. ახალგაზრდა მშენებლებისთვის გზის დასალოცად მოვიდნენ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები.

...პარადზეა ოცივე სახაზო სამშენებლო რაზმი. ელერს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. იწყება მიტინგი, სტუდენტებს გულთბილად ულოცავენ გზას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. ბურჭულაძე, ყამირის ერთ-ერთი პირველმკვალავი, საბჭოთა კავშირის გმირი, უნივერსიტეტის დოცენტი დ. ჯაბიძე, საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი ი. პაიჭაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. წიკლაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ოკუჯავა. უნივერსიტეტის რაზმის მებრძოლთა სახელით პირველკურსელმა სტუდენტმა ნ. ბერიაშვილმა შეკრებილთ აღუთქვა, რომ ისინი ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა ამრავლონ ქართველი სტუდენტობის სახელოვანი შრომითი ტრადიციები.

მიტინგს დაესწრნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. შარტავა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დ. ჩხეიძე. (საქინფორმი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ

ატმოსფერული ჰაერი გარემო ბუნების ერთ-ერთი ძირითადი საარსებო მნიშვნელობის ელემენტია.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს ეხება, წარმოების განვითარების სწრაფი ტემპი, ქალაქების ზრდა, ატმოსფეროს გამოყენების გაფართოება და გარემო ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების მზარდი მასშტაბი მოითხოვს გაძლიერდეს ყურადღება ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ატმოსფერული ჰაერის სასიკეთო მდგომარეობის შენარჩუნებას, მის აღდგენასა და გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების — შრომის, ყოფის, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის, საუკეთესო პირობები, კიდევ უფრო განვითაროს მატერიალური წარმოება და კულტურა.

სსრ კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებულია, რომ ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის სსრ კავშირში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის სიწმინდის შენარჩუნებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო ასრულებს მეცნიერულად დასაბუთებულ ტექნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა იმ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია ატმოსფერული ჰაერის გაუჭუჭყიანების, მასზე სხვა მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და აღკვეთა, აგრეთვე ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობას ამ დარგში.

საბჭოთა კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად უწყობდეს ხელს ატმოსფერული ჰაერის დაცვას.

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანები

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის ამოცანას შეადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირება ამ დარგში ატმოსფერული ჰაერის სიწმინდის შენარჩუნებისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების, ატმოსფეროს გაჭუჭყიანების და მასზე იმ ქიმიური, ფიზიკური, ბიოლოგიური და სხვა მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით, რომელიც იწვევს ქვეყნის მოსახლეობისათვის, სახალხო მეურნეობისათვის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსათვის არახელსაყრელ შედეგებს, აგრეთვე კანონიერების განმტკიცება ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ შედგება ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, მოკავშირე რესპუბლიკების კანონებისა და კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

მუხლი 3. სსრ კავშირის კომპეტენცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის რეგულირების დარგში

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის რეგულირების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას გადაეცემა:

1) საერთო ღონისძიებათა განსაზღვრა და ძირითად დებულებათა დადგენა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში;

2) ატმოსფერული ჰაერის დაცვის საერთო-საკავშირო გეგმების შემუშავება და განმტკიცება;

3) ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა კონცენტრაციებისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების — დონეთა ნორმატივების დადგენა;

4) ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განფრქვევის ნორმატივებისა და მასზე ზღვრულად დასაშვები მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივების შემუშავებისა და დამტკიცების წესის დადგენა;

5) სსრ კავშირისათვის ერთიან ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების სახელმწიფო აღრიცხვის სისტემის დადგენა;

6) სახელმწიფო კონტროლი ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი და მისი განხორციელების წესის დადგენა;

7) ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხთა გადაწყვეტა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 4. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის საქმეში ურთიერთობის რეგულირების დარგში

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის რეგულირების დარგში მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ განეკუთვნება: ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესის დადგენა; ატმოსფერული ჰაერის დაცვის რესპუბლიკური გეგმების შემუშავება და დამტკიცება; სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი, აგრეთვე სხვა საკითხების გადაწყვეტა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციას არ არის მიკუთვნებული.

მუხლი 5. სახელმწიფო მართვა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში

სახელმწიფო მართვას ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა

ატმოსფერული ჰაერის დაცვის დავალებებს და მისი გაჭუჭყიანებისა და მასზე სხვა მავნე ზემოქმედების მიზეზების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, აგრეთვე ატმოსფეროს მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებებს ითვალისწინებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმები.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის გეგმების პროექტები, რომლებსაც სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ამუშავებენ, შეთანხმებულ უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებთან იმ წესით, რომელსაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს.

მუხლი 7. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მონაწილეობა ატმოსფერული ჰაერის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ საქმიანობაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის უზრუნველსაყოფად მათი წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებასა ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებანი.

II. ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებები

მუხლი 8. ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა კონცენტრაციებისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დონეთა ნორმატივები

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასებისათვის წესდება გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციებისა და ატმოსფეროზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დონეთა ნორმატივები. ეს ნორმატივები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისა და გარემო ბუნების დაცვის ინტერესებს.

ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა კონცენტრაციებისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დონეთა ნორმატივებს ადგენენ სსრ კავშირის ერთიანი ან ერთიანი-ერთიანი ტერიტორიისათვის. საჭირო შემთხვევებში ცალკეული რაიონებისათვის წესდება ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა კონცენტრაციების უფრო მკაცრი ნორმატივები.

აღნიშნული ნორმატივები და მათი განსაზღვრის მეთოდები მტკიცდება და სამოქმედოდ შემოიღება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 9. ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივები

ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით წესდება გაჭუჭყიანების სტაციონარული და მოძრავი წყაროების მიერ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმატივები, აგრეთვე ზღვრულად დასაშვები მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივები. ეს ნორმატივები წესდება განაფრქვევისა თუ ატმოსფერულ ჰაერზე სხვა მავნე ზემოქმედების ყოველი სტაციონარული წყაროსათვის, აგრეთვე სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების ყოველი მოდელისათვის.

ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევისა და მასზე ზღვრულად დასაშვები მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივები წესდება იმ დონეზე, როცა კონკრეტული და ყველა სხვა წყაროს მიერ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევას და მავნე ფიზიკურ ზემოქმედებას მოცემულ რაიონში მისი განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით არ მოაყენებს ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციებისა და მავნე ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები დონეების ნორმატივების გადამეტება.

აღნიშნული ნორმატივები, მათი განსაზღვრის მეთოდები და იმ წყაროთა სახეობები, რომელთათვის ისინი მუშავდება, მტკიცდება და სამოქმედოდ შემოიღება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 10. გაჭუჭყიანების სტაციონარული წყაროების მიერ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის რეგულირება

გაჭუჭყიანების სტაციონარული წყაროს მიერ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევა დაიშვება ყველა შემთხვევაში იმ ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემს საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო. ნებართვით გათვალისწინებულია გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის ნორმატივები, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაცვის უზრუნველმყოფელი სხვა პირობები და მოთხოვნები.

გაჭუჭყიანების სტაციონარული წყაროების მიერ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის ნებართვების გაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევასთან, ვალდებულნი არიან განახორციელონ ორგანიზაციულ-სამეურნეო, ტექნიკური და სხვა ღონისძიებანი, გაფრქვევის ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, მიიღონ ზომები გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის შესამცირებლად, უზრუნველყონ განაფრქვევის საწმენდი და მისი საკონტროლო ნაგებობების, მოწყობილობებისა და აპარატურის შეუფერხებელი ეფექტიანი მუშაობა და წესიერ მდგომარეობაში შენახვა, აგრეთვე განახორციელონ ატმოსფეროში გაფრქვეულ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა რაოდენობისა და შედგენილობის სისტემატური აღრიცხვა.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება არ უნდა იწვევდეს ნიადაგის, წყლისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების გაჭუჭყიანებას.

ნებართვებით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როცა საფრთხე ექმნება მოსახლეობის ჯანმრთელობას, გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევა უნდა შეიზღუდოს, შეჩერდეს, ან აიკრძალოს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, თვით ცალკეული საწარმოსა და დანადგარის, საამქროების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტამდე.

როცა ავარიული სიტუაციის შედეგად ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის დადგენილი ნორმატივების გადამატება ხდება, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ეს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს და მიიღონ დადგენილი წესით ზომები ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და მისი გაჭუჭყიანების მიზეზებისა და შედეგების ლიკვიდაციისათვის.

საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებიც მიიღებენ გაფრთხილებას მოსალოდნელ არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა კონცენტრაციის შესაძლო გადიდების შესახებ, მოვალენი არიან ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებთან შეთანხმებით შეასრულონ სპეციალურად შემუშავებული ღონისძიებანი ატმოსფეროში ასეთ ნივთიერებათა განაფრქვევის შესამცირებლად.

მუხლი 11. ავტომობილების, თვითმფრინავების, სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების მიერ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის რეგულირება

სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ავტომობილების, თვითმფრინავების, გემების, სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების დაპროექტებას, წარმოებასა და ექსპლოატაციას, მოვალენი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი ამ საშუალებებისა და დანადგარების მიერ ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის თავიდან აცილებისა და შემცირებისათვის.

სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების მიერ განაფრქვევი გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის დაწესებულ ნორმატივებს.

ექსპლოატაციაში არსებული ყველა სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალება და დანადგარი ექვემდებარება კონტროლს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის ნორმატივების დაცვისადმი. აღნიშნული ნორმატივების დაცვისადმი კონტროლის წესები დგინდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

არ დაიშვება ისეთი სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების წარმოება და ექსპლოატაცია, რომელთა განაფრქვევში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება.

მუხლი 12. ატმოსფეროზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების რეგულირება

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები მოვალენი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ ატმოსფეროზე ბგერითი რხევების, მათ შორის ხმაურის, გამოსხივების და მისთანათა მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირებისა და აღმოფხვრის ღონისძიებანი.

სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ცალკეული სახეობანი შეიძლება დაშვებულ იქნეს საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვების საფუძველზე.

ატმოსფერულ ჰაერზე ყოველგვარი მავნე ფიზიკური ზემოქმედება დაიშვება იმ პირობით, თუ დაცულია დადგენილი ზღვრულად დასაშვები ნორმატივები, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მასზე გაცემულია ნებართვა — ამ ნებართვით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნებიც. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევისას ცალკეული სამრეწველო და სხვა დანადგარების, საამქროების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესაბამისი საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს, შეიზღუდოს ან აიკრძალოს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, სანამ არ აღმოიფხვრება ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ზღვრულად დასაშვები ნორმატივების გადამეტება ან ნებართვით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა.

საწარმოო და სხვაგვარი ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, კერძოდ, უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი: დაინერგოს ნაკლებხმაურიანი ტექნოლოგიური პროცესები; გაუმჯობესდეს სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციები და მათი ექსპლოატაცია, აგრეთვე რკინიგზისა და ტრამვაის ხაზების, საავტომობილო გზების, ქუჩის საფარების მოვლა-პატრონობა; განლაგდეს აეროდრომები და აეროპორტები, სამრეწველო და სხვა ნაგებობანი და მოწყობილობა, რომლებიც ხმაურის წყაროს წარმოადგენენ, სათანადო მანძილზე დასახლებული პუნქტებიდან და საცხოვრებელი განაშენიანების რაიონებიდან; გაუმჯობესდეს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარება და განაშენიანება; განხორციელდეს ორგანიზაციული ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო ხმაურის თავიდან აცილებისა და შემცირებისათვის.

მოქალაქენი მოვალენი არიან შეასრულონ მოთხოვნები, რომლებიც დაწესებულია ბინებში, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების ეზოებში, ქუჩებში, დასვენების ადგილებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში საყოფაცხოვრებო ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

მუხლი 13. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლოატაციიდან გადაცემა, რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე

ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს, არსებულთა სრულყოფისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის დანერგვისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების ნორმატივების დაცვა. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს მავნე ნივთიერებებისა და ნარჩენების დაჭერა, უტილიზაცია, გაუვნებლობა ან გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევის სრული გამორიცხვა, ატმოსფერული ჰაერის დაცვის სხვა მოთხოვნების შესრულება იმის მხედველობაში მიღებით, რომ დაპროექტებული, მოქმედი და მომავალში ასაშენებლად დაგეგმილი საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განაფრქვევის, აგრეთვე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ერთობლიობამ არ გამოიწვიოს ატმოსფერულ ჰაერში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების ნორმატივებისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვებ დონეთა ნორმატივების გადამეტება.

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგილის განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე, შეთანხმებულ უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებთან და სხვა ორგანოებთან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

აკრძალულია ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნებს.

საწარმოები, დაწესებულებანი, და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევასთან, მათი აშენების დროს მიუხედავად, აღჭურვილი უნდა იყოს ატმოსფეროში განაფრქვევის საწმენდი ნაგებობებით, მოწყობილობითა და აპარატურით და ატმოსფეროში გაფრქვეულ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა რაოდენობისა და შედგენილობის საკონტროლო საშუალებებით.

სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები მოვალენი არიან ახორციელებდნენ კონტროლს ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევის საწმენდი და სხვა ფიზიკური ზემოქმედების შემამცირებელი ნაგებობების, მოწყობილობისა და აპარატურის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციისადმი, აგრეთვე გაწმენდის ეფექტიანობაზე განაფრქვევისა და მავნე ფიზიკური ზემოქმედების სიდიდეზე მუდმივი დაკვირვებისათვის საჭირო ხელსაწყოებით მათი აღჭურვისადმი.

მუხლი 14. ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განლაგებისა და განვითარების დროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების შესრულება

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განლაგებისა და განვითარების დაგეგმვის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა, მისი შეცვლის პროგნოზი და მავნე ზემოქმედებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ამოცანა.

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაპროექტება, განაშენიანება, რეკონსტრუქცია უნდა წარმოებდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სანიტარიულ-ჰიგიენური და სხვა ნორმებისა და წესების შესაბამისად.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი დასახლებული პუნქტების ტერიტორიის, ხოლო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მათ მიერ დაკავებული საწარმოო და სხვა ფართობების კეთილმოწყობისა და გამწვანების გაუმჯობესებისათვის იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ ან შეამცირონ ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება.

იმ რაიონებში, რომელთა ატმოსფერულ ჰაერზე გავლენას ახდენს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ჯგუფის საქმიანობა, დადგენილი წესით მუშავდება და ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღების კომპლექსური ღონისძიებანი.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა განაფრქვევისა და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დადგენილ ნორმატივებამდე შემცირება, შესაბამისი საწარმოები, დაწესებულებანი და სხვა ობიექტები იხურება ან უნდა შეიცვალოს მათი წარმოების პროფილი.

მუხლი 15. აღმოჩენების, გამოგონებების, ახალი ტექნიკური სისტემების დანერგვისას, აგრეთვე იმპორტული მოწყობილობის შესყიდვისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების შესრულება

აკრძალულია აღმოჩენების, გამოგონებების, რაციონალიზაციურ წინადადებების, ახალი ტექნიკური სისტემების, ნივთიერებებისა და მასალების დანერგვა, აგრეთვე ტექნოლოგიური მოწყობილობისა და სხვა ობიექტების საზღვარგარეთ შეძენა, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ სსრ კავშირში დაწესებულ ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნებს და უზრუნველყოფილი არ არიან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევისადმი კონტროლის ტექნიკური საშუალებები.

მუხლი 16. მცენარეთა დაცვის საშუალებების, მინერალური სასუქებისა და სხვა პრეპარატების გამოყენებისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების შესრულება

მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სხვა იმ პრეპარატების ნუსხა, რომელთა გამოყენება ნებადართულია სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე მათი გამოყენების ხერხები შესათანხმებელია ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილ ორგანოებთან სსრ კავშირის კანონმდებლობის დადგენილი წესით.

აღნიშნული მიზნით გამოსაყენებელი ახალი პრეპარატების შექმნისას უნდა შემუშავდეს ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციათა ნორმატივები და ამ პრეპარატების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრის მეთოდები.

კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი, სხვა საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი მოვალენი არიან დაიცვან მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სხვა პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესები, რათა არ დაუშვან ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება ამ ნივთიერებებით.

მუხლი 17. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ტერიკონებისა და ნაყარების განლაგების და ექსპლოატაციის დროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების შესრულება

